

თერმოჰიდროდინამიკისა და ბლანტ-დრეკადობის ზოგიერთი პროცესის
მათემატიკური

მოდელირება

გიორგი გელაძე*, არჩილ პაპუკაშვილი*, მერი შარიკაძე* ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ვეკუას სახელობის
გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,
Giorgi.geladze@tsu.ge, Archil.papukashvili@tsu.ge, Meri.sharikadze@tsu.ge

ჩვენს ჯგუფში ატმოსფეროს მეზომასშტაბური სასაზღვრო ფენისა და ჯ. ბოლის
ბლანტ-დრეკადი ძელის უკვე დამუშავებული მათემატიკური მოდელების ბაზაზე
ვიხილავთ შემდეგ ამოცანებს:

1. ბრიზული ცირკულაციები ნოტიო პროცესების (ნისლი, ღრუბელი)
გათვალისწინებით;
2. აეროზოლის გავრცელება ატმოსფეროსა და ზღვაში;
3. ატმოსფეროში სმოგების გენეზისი;
4. ჯ. ბოლის ძელის გათვლა სიბლანტის ტემპერატურასა და წნევაზე
ფუნქციონალური დამოკიდებულებისას;
5. ჯ. ბოლის ძელის გათვლა დროსა და სივრცეში ცვლადი წერტილოვანი
სითბური წყაროების საშუალებით (ელექტროშედულების იმიტაცია). ეს
საკითხები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შავ ზღვასთან დაკავშირებულ
თემატიკასთან „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ (ზღვისპირა ატმოსფერული
პროცესები; ანაკლიის პორტი; ბათუმთან დაგეგმილი ხელოვნური კუნძული;
ზღვაში „ჩადგმული“ სხვადასხვა საინფორმაციო კაბელები...).